

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბრძანება
2007 წლის 25 სექტემბერი N251
თბილისი

კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებისა და სტატისტიკური მონაცემების
საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის CAEL-ის სისტემით ანალიზისა და შეფასების
მეთოდური სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ

კომერციული ბანკების საქმიანობის კომპლექსური ზედამხედველობისა და რეგულირების
ლონისძიებების სრულყოფის მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1.დამტკიცდეს თანდართული კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებისა და
სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის CAEL-ის სისტემით
ანალიზისა და შეფასების მეთოდური სახელმძღვანელო.
- 2.საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს:
 - ა)საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების საქმიანობის ანალიზი და შეფასება
კვარტალურად კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებისა და სტატისტიკური
მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის CAEL-ის სისტემით ანალიზისა და
შეფასების მეთოდური სახელმძღვანელოს შესაბამისად;
 - ბ) კომერციული ბანკების საქმიანობის კვარტალური გარესაბანკო ზედამხედველობისა და
ანალიზის დასკვნის (სახელმძღვანელოს დანართი N1-ის ფორმით), აგრეთვე მისი განხილვის
შედეგების (სახელმძღვანელოს დანართი N3-ის ფორმით) ეროვნული ბანკის
ხელმძღვანელობისათვის წარდგენა მომდევნო კვარტალის მეორე თვის 10 რიცხვამდე.
- 3.კომერციული ბანკების CAEL-ის სისტემით ანალიზის მასალები და შეფასება განკუთვნილ
იქნეს მხოლოდ ეროვნული ბანკის შიდა მოხმარებისათვის.
4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს ეროვნული ბანკის 2000 წლის 9 აგვისტოს
N227 ბრძანება „CAEL-ის სისტემით გარესაბანკო ზედამხედველობისა და ანალიზის
კვარტალურად განხორციელების შესახებ“.
- 5.ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რ. გოცინიძე